

209  
1995/W/2

საქართველოს  
საგარეო  
აღმოსავლური  
კავშირების  
მინისტრო

# ქართული დაქვეყნების

ΑΡΧΑΙΑΝΗ ΔΙΟΝΥΣΟΣ



130  
ქართული  
ბრუნედი

ფარნალის ნომრის სონსორია ღვწით სარაჯიშვილის სახელობის  
სააქციოწარმო საზოგადოება — „ენისელი“.

LE SPONSOR DU PRÉSENT NUMERO DE LA REVUE EST LA  
SOCIÉTÉ ANONYME „ENISSELI“ DAVID SARADJICHVILI.

### „თაიგული“

დამზადებულია ქართული  
ბრენდის (კონიაკის) 180 წლი-  
სთავის აღსანიშნავად. კუპაჟ-  
ში მონაწილეობს: „ვარცი-  
ხე“, „გრემი“, „ძალიან ძვე-  
ლი“, „ენისელი“, „თაი-  
გული“, „საკართველო“,  
„ვარძია“. საშუალო ასაკი —  
30 წელი..



### „TAIGOULI“

Fabriqué à l'occasion du  
130ème anniversaire du  
brandy (cognac) géorgien.  
Le coupage comporte:  
„VARTSIKHE“, „GREMI“,  
„DZALIAN DZVELI“, „TBI-  
LISSI“, „SAKARTVELO“,  
„VARDZIA“). L'âge moyen  
est de 30 ans.

СПОНСОР НОМЕРА ЖУРНАЛА АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО  
ИМЕНИ ДАВИДА САРАДЖИШВИЛИ — «ЭНИСЕЛИ»

# პაწი და ღვინო

ქუჩნალი დაარსებულა 1920 წელს. გამოცემა განახლდა 1992 წელს

ედგნება ქართული ბრენდის (კონიაკის) 130 წლისთავს  
Посвящается 130-летию грузинского бренди (коньяка).  
Consacré au 130-ème anniversaire du brandy géorgien.



**1995**

**3**

**(20)**

თ ბ ი ლ ი ს ი

# ენისელი \* ENISSELI



1995 წელს ლონდონში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების XXVI საერთაშორისო კონკურსზე მიიღო ბრინჯაოს მედალი.

მზადდება 12—14 წლიანი ბრენდის (კონიაკის) სპირტებისაგან. შექმნილია 1946 წელს ვახტანგ ციციშვილის მიერ, რომელმაც 1947 წელს მალაღობარისხოვანი პროდუქციისათვის მიიღო სტალინური პრემია. სპირტი — 40%, შაქარი — 0,5%.

Remporte une médaille de bronze en 1995 sur le XXVI ème concours international des vins et des boissons alcooliques à Londres.

Obtenu à partir des alcools du brandy de 12-14 ans. Fabriqué depuis 1946 par Vakhtang Tsitsichvili, remportant en 1947 le Prix Staline. Alcool — 40%, sucre — 0,5%.

В 1995 году в Лондоне на XXVI Международном конкурсе вин и алкогольных напитков удостоен бронзовый медали.

Изготавливается из спиртов бренди (коньяка) 12—14-летней выдержки. Создана в 1946 году Вахтангом Цицишвили, который в 1947 году был награжден Сталинской премией за создание высококачественной продукции. Спирт — 40%, сахар — 0,5%.

ორიგინალური თვისებების მაღალაკოპოლიანი სასმელი „კონიაკის“ სახელწოდებით საქართველოში 1865 წლიდან — მისი დაარსებიდანვე არის ცნობილი. ამ სახელით გავიდა იგი 1876 წელს პირველ მსოფლიო გამოფენაზე ჩიკაგოში და ამ სახელითვე მიიღო უმაღლესი ჯილდო 1878 წელს პარიზში მოწეობილ მეორე მსოფლიო გამოფენაზე. შემდგომში, ათეული წლების მანძილზე, ქართულმა პროდუქციამ „კონიაკის“ სახელწოდებით საერთაშორისო არენაზე მრავალი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. ამ კეთილშობილური სასმელის წარმოების ფუძემდებლები საქართველოში გიორგი ბოლქვაძე და დავით ხარაჯიშვილია. ფრანგული ტექნოლოგიის გადმონერგვამ ქართულ სინამდვილეში შესანიშნავი შედეგი გამოიღო: ქართული ბრენდი გამოირჩევა მაღალი ღირსებით, რაც განპირობებულია ქართული შევნახვობა-მეღვინეობის უძველესი კულტურითა და ტრადიციებით, ადგილობრივი ვაშლის ჯიშებითა და ნიადაგურ-კლიმატური პირობებით.

წელს შესრულდა ქართული ბრენდის წარმოების 130 და ამ საქმის პიონერის — გიორგი ბოლქვაძის დაბადების 160 წლისთავი.

„კონიაკი“ ფრანგული სასმელია. სხვადასხვა ქვეყანაში დღეს ამ კატეგორიის სასმელს სხვადასხვა სახელი ჰქვია. ვიდრე ჩვენც ამ სასმელს ორიგინალურ სახელს შევურჩევდეთ, დროებით „ქართული ბრენდი“ ვუწოდეთ.

La boisson à une haute teneur alcoolique et à des qualités originales est connue en Géorgie sous le nom du „cognac“ depuis 1865 — l’an de sa mise en oeuvre. C’est sous ce titre qu’il fut présenté en 1876 à la première exposition internationale de Chicago et sous ce titre toujours qu’il obtint le Grand-Prix en 1878 lors de la deuxième exposition internationale de Paris. Plus tard, toujours sous le même nom, le produit géorgien obtient, pendant les dizaines d’années successivement différents prix dans l’arène internationale. Les premiers producteurs de cette boisson incomparable en Géorgie furent Guiorgui Bolkvadzé et David Saradjichvili. L’implantation du procédé français dans la vie géorgienne eut un résultat important: le brandy géorgien dispose de hautes qualités dont l’origine est à chercher dans la vieille culture de la viti-viniculture géorgienne et dans les traditions du pays au climat et relief variés avec une forte diversité des cépages locaux.

Cette année, nous fêtons le 130 ème anniversaire depuis la naissance de ce breuvage incomparable et le 160 ème anniversaire de Guiorgui Bolkvadzé — l’un des pionniers de sa production en Géorgie.

Le „cognac“ est une boisson française. Cette boisson porte divers noms dans des différents pays. Avant que nous décidions de donner un certain nom original à cette boisson chez nous, nous l’avons nommée provisoirement le „brandy géorgien“.





გელა ხანიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
სააქციონერო საზოგადოება — „ენისელის“  
მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე

# საქართველო საქართველო

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებმა სათავე დაუდეს საბჭოთა წყობის პირობებში გაზრდილი თაობებისათვის სრულიად ახალ და პრაქტიკულად ათეული წლების მანძილზე დაგმოხილ, საბაზრო ეკონომიკის ელემენტების დანერგვას სახალხო მეურნეობაში.

რესპუბლიკის პარლამენტის და მთავრობის მიერ მიღებული იქნა მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ საერთო-სახალხო საკუთრებაში მყოფი სახელმწიფო ქონების განსახლები-ფლობასა და პრივატიზებას. ქვეყნის განვითარების დეკლარირებული მიმართულების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნამ ხელი შეუწყო შეწარმეთა ახალი ფენის გაჩენას, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ, იკრებდა ძალას და აცხადებდა მზადყოფნას ქვეყნის სასიცოცხლო ობიექტების შოვლა-პატრონობაზე. ერთ-ერთი ასეთ ობიექტების რიცხვს მიეკუთვნება

საავტრო-სამრეწველო ფირმა „ენისელი“ (ყოფილი თბილისის კონიაკის ქარხანა), რომელიც იქნა აქციონირებული სააქციო საზოგადოება „ენისელის“ სახით. შემდგომ „ენისელის“ აქციების მფლობელი გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბემი“.

შ. პ. ს. „ბემის“ მიერ გადადგმული ნაბიჯი და სააქციო საზოგადოება „ენისელის“ შესაძენად 1800000.0 ამერიკულ დოლარის გადახდა არ იყო შემთხვევითი. იგი მიუთითებს პირველ რიგში „ბემის“ მესაკუთრის ბატონ ელგუჯა ბუბუტიშვილის სწორ მიზანმიმართულ საქმიანობაზე, რომელმაც საყოველთაო ნგრევის პირობებში შექმლი მყარი ფინანსური სიძლიერის და დამსახურებული ავტორიტეტის მქონე ორგანიზაციის ჩამოყალიბება, მეორეს მხრივ კი, ადასტურებს იმ უდავო კუჭმარტებას, რომ ქართული კონიაკის ბრენდის წარმოება ყოველთვის იმსახურებდა არა მარტო ადგილობრივი, არამედ



ქართველი მწერლების კავშირი

უცხოელი ბიზნესმენების ყურადღებას.

თუ გავითვალისწინებთ ქართული კონიაკის დიდ ისტორიულ გზას, აგრეთვე შევადარებთ დღეისათვის არსებულ ფაქტიურ მდგომარეობას, ნათელი გახდება, რომ ბოლო წლებში დიდი დიდი დაამჩინა კონიაკის წარმოების განვითარებასაც.

წარმოების პრივატიზებამ და მასში მთლიანად კერძო ინტერესების გაჩენამ დიდი თეორიული ბაზა შექმნა მისი განვითარებისა და ძველი დიდების დაბრუნებისათვის.

უზრუნველყოფილი იქნას მსოფლიო ბაზარზე ქართული ბრენდის მიერ შესაბამისი ადგილის დაკავება.

1995 წლის 31 მაისს ჩატარებულმა სააქციო საზოგადოების საერთო კრებამ სათავე დაუდო ქართული კონიაკის წარმოებისა და რელიზაციის ახალი ერის დასაწყისს. მესვეურთა მიერ წარმოების ფაქტიური მდგომარეობის ანალიზისა და პერსპექტივების გათვალისწინებით შემუშავებულია პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ჯასახული შინის — ძველი



ნებისათვის. არსებული მდგომარეობის შეფასება, რა თქმა უნდა, არ იძლევა თვითდამშვიდების შესაძლებლობას, მაგრამ საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ სწორი დასკვნები და სულ ახლო მომავალში

დიდების დაბრუნების და მსოფლიო მნიშვნელობის პროდუქციის გამოშვების ეტაპობრივ მიღწევას. კერძოდ:

პირველ რიგის ამოცანად იქცა წარმოების ეკონომიკურ მდგომარეობის ხილ-

რმისეული ანალიზი და სახსრათვის გზების მონახვა მისი გაქანსაღებისათვის, რამეთუ თითქმის ერთწლიანმა ვადაზღისუფნარობამ წარმოშვა მნიშვნელოვანი ზარკეზები ეკონომიკაში და, რაც მთავარია, ვალები სახელმწიფოს მიმართ, რაშიც დიდი წვლილი თვით სახელმწიფოს ეკუთვნის.

საწარმოო პროცესებისადმი სწორმა მიდგომამ და მესვეურის მიერ გაღებული კაპიტალმა ნაყოფი გამოიღო და 1998 წლის მეორე კვარტალი დავამთავრეთ 800000 ამერიკული დოლარის მოგებით, ნაცვლად პირველ კვარტალში მიღებულ 15000 დოლარის ზარალისა.

წარმოების ამოქმედების შემდგომ დღის წესრიგში დადგა ახლო და შორეული პერსპექტივების გეგმის შემუშავება. მესვეურის გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო ფართომასშტაბიანი სამუშაოები მარკეტინგის ზაზით, პრაქტიკულად დაბრუნებული იქნა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცის ბაზარი, მიმდინარეობს მუშაობა ავტორიტეტის ასამაღლებლად და მსოფლიოსათვის ინფორმაციის მიწოდებაზე, რადგანაც როგორც მიკვლეული მახალები მოწმობს, მათთვის პრაქტიკულად უცნობია ქართული კონიაკის დღევანდელი დღე.

დასკვნითი შესამე ეტაპის ამოცანები განსაზღვრავს იმ ძირითად სტრატეგიულ ზაზს, რომელიც იმთავითვე ყო განხილული, როგორც კი განახლდა ქარზნის აქციებში მონაწილეობის მიღება. ეს არის ევროპული სტანდარტების შესაბამისი

პროდუქციის შექმნა. დღეისათვის უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება გერმანიის, თურქეთის და ბულგარეთის ბოთლის მწარმოებელ ფირმებთან, შექმნილია სპეციალური სამსახური ეტიკეტის დამუშავებისა და წარმოებისათვის, გადახდილია თანხა იტალიაში ჩამოსხმელი დანადგარის შესაძენად, ტარდება სამუშაოები უშუალოდ წარმოებაში არსებული სიმძლავრეების მოდერნიზებისა და რეკონსტრუქციისათვის, შეკვეთილია ფილმი, რომელშიც უნდა გააცნოს მსაუბრებელს ქართული კონიაკის ბრენდის წარსული, აწმყო და მომავალი, იძებნება გზები ჯანსაღი პარტნიორობისათვის და სხვა.


წარმოების პერსპექტივებზე საუბარი, მისი დღევანდელი და ზვლინდელი დღე ქალზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ აღმნიებზე, რომლებიც სათვეში უდგანან და ახორციელებენ მესაკუთრის მიერ დასახულ მიზნებს. დღეისათვის წარმოებაში შექმნილია გუნდი, რომელიც არსებულ კადრებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს ყოველგვარი ამოცანის განსაზღვრას და ახდენს მის რეალიზაციას. საწარმოო სიმძლავრეების განახლების პარალელურად მიმდინარეობს კადრების შევსება ენერგიული და საქმისადმი ერთგული ახალგაზღვრებით, საზღვარგარეთ მზადდება ახალგაზრდა იურისტების, მენეჯერების და მარკეტინგის სპეციალისტები, რომელთაც ვფიქრობთ, ზელეწიფებთ დ. სარაჯიშვილის სახელობის სააქციო საზოგადოება „ენისელის“ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრა.




„მბრძნა“. ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ბრენდიდან. მზადდება 20—30 ბრენდის სპირტებისაგან. გამოდის 1966 წლიდან შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად. სპირტი — 40%, შაქარი — 0,5%.

„VARDZIA“. L' un des meilleurs brandy en Géorgie. Préparé à la base des alcools de brandy d'âge moyen de 20-30 ans. La marque fut commercialisée en 1966 à l'occasion du 800-ème anniversaire de Chota Roustavéli. Alcool — 40%, sucre — 0,5%.

«ВАРДЗИА». Один из лучших бренди Грузии. Приготавливается из коньячных спиртов среднего возраста 20—30 лет. Марка выпущена в 1966 году к 800-летию со дня рождения Шота Руставели. Спирт — 40%, сахар—0,5%.







**ალექსანდრა კუჭუნია**

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდენტი.

**ბიზნესის  
გადაუდგებელი  
ამოცანა**

საქართველოში განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კვლევას ეკონომიკის, მისი ცალკეული დარგების და სასაქონლო ბაზრების განვითარების პერსპექტივების დასადგენად. ბიზნესის მეცნიერებისა და პრაქტიკის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს: ბიზნესის დაფინანსების, ეკონომიკური სტიმულირების და სამართლის საკითხები, ის, თუ რით განისაზღვრება წარმატება მეწარმეობით საქმიანობაში, კონკურენტულ ბრძოლაში; მუშაობის ხარისხის ამაღლება, სიახლეები წარმოების ორგანიზაციაში, მენეჯმენტში, მარკეტინგში; როგორ უზრუნველვყოთ ბაზარი ფირმებისათვის, როგორ უზრუნველვყოთ ტექნოლოგიურად ეფექტიანი წარმოება, როგორ ვახტიმულიროთ მუშაკები მაღალმწარმოებლურა შრომისათვის. ქართულ მეცნიერ-ბიზნესმენტთა, აგრეთვე, ბიზნესმენ პრაქტიკოსთა მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა იყოს, ასევე: საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობა მისი საექსპორტო პოტენციალის გადიდებისათვის და მსოფლიო ბაზრებზე სამაძულო პროდუქციის დამკვიდრებისათვის, აგრეთვე, საზღვარგარეთული ბიზნესის გამოცდილების შესწავლა და დანერგვა ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბიზნესის განვითარების დონეზე, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალი, მისი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, კავშირგაბმულობისა და სახალხო მეურნეობის ნებისმიერი სხვა დარგის აღორძინება-განვითარება, საერთოდ საქართველოს მომავალი, მისი მოსახლეობის კეთილდღეობა. ამიტომ მისასალმებელია საქართველოში მეღვინეობის, უფრო კონკრეტულად, კონიაკის მრეწველობის თავკაცებისა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ინიციატივითა



და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის დარგთა წარმომადგენლებთან შეხვედრებით საქართველოში, კერძოდ, მის დედაქალაქში – თბილისში მეღვინეობის განვითარებისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო თავყრილობის, დიდი ხიმპო-ნიუმის გამართვა.

ისეთ ქვეყანაში, როგორცაა საქართველო, საბაზრო ურთიერთობის შექმნა და რაც შეიძლება ხელ უფრო მეტი ტემპებით განვითარების ურთ-ერთ მოშველიან ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნას მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება. ამასთან დაკავშირებით, დღეს ქართულმა ბიზნესმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მევენახეობა-მეღვინეობაში არსებული კრიზისის დაძლევა, მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში (რაიონებში, ზოფლებში) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მევენახეობა-მეღვინეობაში დასაქმებულთა შესაბამისი ტექნიკით, ქიმიკატებითა და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფას.





მევენახეობა-მეღვინეობაში კრიზისის დაძლევისათვის აუცილებელია მონაწილეობა, წარმოების გადიდება, ბაზრის შევსება, ხარისხის ამაღლება, ინვესტიციური პროცესის აღდგენა-ხრულყოფა, ნაკეტილი ციკლის წარმოების ორგანიზაციულ-გაფართოება, საგარეო კავშირურთიერთობის გაფართოება. მაგრამ ყოველივე ამის გაკეთება ქართულ ბიზნესს დამოუკიდებლად არ შეუძლია. არამარტო მეღვინეობის, არამედ საერთოდ ყველა დარგისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და ბიზნესის მეცნიერთა აქტიური თანადგომა.

უნდა გადაწყდეს შემდეგი პრაქტიკული სახითის პრობლემები:

- შეღავათიანი, ბიზნესის მასტიმულირებელი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში;
  - დანქარებული ამორტიზაციის სისტემის დანერგვა;
  - ეროვნული ვალუტის განმტკიცება;
  - ინოვაციური ბიზნესის ყოველმხრივ სტიმულირების სისტემის ჩამოყალიბება, ქართული ბიზნესისათვის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვებისათვის პირობების უზრუნველყოფა;
  - მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების სისტემის ჩამოყალიბება.
- არამარტო მეღვინეობაში, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ქართული ბიზნესის ძლიერება საქართველოს ძლიერებაა, საერთაშორისო თანამეგობრობაში მისი ღირსეული მონაწილეობის საწინდარია.





Dans le but de surcomber la crise qui règne en Géorgie dans la viti-viniculture, plus précisément, dans la production du brandy, le soutien de l'Etat et la participation active des représentants intellectuels du business s'avèrent nécessaires.

Le business géorgien devra prendre une part effective au programme contribuant à l'avancement des processus du développement socio-économique des régions de la viti-viniculture, à l'alimentation des producteurs en moyens matériels et techniques nécessaires.

Il convient de résoudre les problèmes d'aspect pratique suivants:

— Création en Géorgie d'un système de paiement avantageux et favorable du business:

— application du système d'amortissement rapide:

— rendre solide la devise nationale:

— création d'un système d'incitation globale du business d'innovation, préparation du terrain pour la sortie et l'implantation du business géorgien sur le marché international:

— création d'un système d'incitation du petit et moyen business.

**ALEXANDRE KOUTCHOUKHIDZÉ**

Président de l'Académie des sciences de business de la Géorgie.

Для преодоления кризиса в виноградарстве-виноделии, в частности, в производстве бренди необходима соответствующая государственная поддержка и активное участие ученых — представителей бизнеса.

Грузинский бизнес должен активно участвовать в ускорении процессов социально-экономического развития в регионах виноградарства-виноделия, обеспечения производителей необходимым материально-техническими средствами.

Необходимо решить следующие проблемы практического характера:

— создание в Грузии льготной, стимулирующей платежной системы бизнеса;

— внедрение системы ускоренной амортизации;

— укрепление национальной валюты;

— создание системы всестороннего стимулирования инновационного бизнеса, обеспечение условий для успешного выхода и обновления грузинского бизнеса на международном рынке;

— создание системы стимулирования малого и среднего бизнеса.

**Александр КУЧУХИДЗЕ,**

Президент Академии наук бизнеса Грузии.




„საქართველო“. შუადღება 20-წლიანი ბრენდის სპირტისაგან. გა-  
შობის 1971 წლიდან. სპირტი — 40%, შაქარი — 0,5%.

„SAKARTVELO“. Préparé à la base des alcools de brandy  
âge — 20 ans. Commercialisé depuis 1971. Alcool — 40%,  
sucre — 0,5%.

«САКАРТВЕЛО». Приготавливается из спиртов бренди  
20-летней выдержки. Выпускается с 1972 г. Спирт — 40%,  
сахар — 0,5%

**დავით აბჯინიძე,**

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
სააქციონერო საზოგადოება „ენისელი“  
მთავარი ტექნოლოგი.



## დადგარის მოკვლევა ადგარითი

დღეს საქართველოში მიმდინარე ცნობილი პროცესები გარკვეულწილად შეეხო კვების შრეწველობისა და კერძოდ, მეღვინეობის დარგს. ახალმა ძვრებმა ხშირ შემთხვევაში ახალი პრობლემებიც წამოჭრა, კრიზისულმა მოვლენებმა კონიაკის წარმოებაშიც იჩინა თავი.

კონიაკის ქარხნის სპირტის საძველო საამქროს 1 მილიონი ლეკალიტრი საკონიაკე სპირტის დასაძველებელი ჭურჭელი გააჩნია. მათ შორის 15 900 ცალი მუხის კასრია, რომელთაგან 64 კასრი დავით სარაჯიშვილის ქონებიდან შემოგვრჩა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საკასრე მეურნეობა, რესპუბლიკის არცერთ ქარხანას არ გააჩნია, მით უმეტეს, კერძო ფირმას. აღნიშნული სიმძლავრეების სრული დატვირთვა საშუალებას იძლეოდა კონიაკის ქარხანას წელიწადში ეწარმოებინა 2 მილიონ 300 ათასი ღალ კონიაკი. დღეისათვის სპირტის საძველო საამქრო სანახევროდ არის დატვირთული. ამის მიზეზი, პირველ რიგში, ის არის, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა საკონიაკე სპირტის გამოხდა. ეს გამოიწვია ფურძნის მოხაჯის მკვეთრმა დაცემამ, ვენახების ნაჩქარევმა პრივატიზაციამ და სხვა მოვლენებმა. გარდა ამისა, დაირღვა ტრადიციულად არსებული ურთიერთობა სპირტის მწარმოებელ ქარხნებსა და კონიაკის ქარხანას შორის. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ციფრებიდანაც:


წელი	1988	1989	1990	1991	1992	1993	1994
მიღებული სპირტი ათასი ღალ ა/ა	1151,9	968,4	944,3	524,3	135,1	114,3	56,9



ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დვინის პირველად ქარხნებს გა-  
უნდათ უამრავი პრობლემა (ნედლეულის მოძწოდებელიან ახალი ურთიერთობები,  
კურმნის, მანქანა-დანადგარების, დამხმარე მასალების, ენერგორესურსების მკვეთ-  
რად გაძვირება).

130 წლის განმავლობაში შექმნილ დამსახურებულ ავტორიტეტს რეალური  
საფრთხე დაემუქრა. ბაზარი გაივსო მეტად მდარე ხარისხის, უმეტეს შემთხვევაში  
ფალსიფიცირებული კონიაკით. და ეს ფალსიფიცირებული პროდუქცია გამოდის  
ფირმა „ენისელის“ მიერ გამოშვებული პროდუქციის ეტიკეტით, დიზაინით და მარ-  
კის დასახელებით, ხოთხე კი კონიაკთან საერთო არაფერი აქვს. დაფიქსირებულია  
ქართული ფალსიფიცირებული კონიაკის მეტად დიდი რაოდენობით რეკლამის  
ფარგლებს გარეთ (და არა მარტო ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში) ვატანის შე-  
მთხვევები, რამაც თითქმის მთლიანად დაგვაკარგვინა უცხოეთის, და რაც მეტად  
მნიშვნელოვანია, რუსეთის ბაზარი, ბაზრის დაბრუნება კი დღევანდელ პირობებში  
მეტად რთული ამოცანაა.

ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია წარმოების გადაიარაღება  
თანამედროვე ჩამომსხმელი ხაზებით, რათა კონიაკი ჩამოვასხათ არასტანდარტულ,  
ორიგინალურ ბოთლებში. ასევე, შესაბამისად შევცვალოთ ეტიკეტების და საერთოდ  
ბოთლის დიზაინი, გამოვინახოთ დამცავი საშუალება, რათა საბოლოოდ მოეღოს ბოლო  
ქართული კონიაკის ფალსიფიკაციას. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა 1995



წლის მაისის თვის შემდეგ. მას შემდეგ, რაც საპრეწველო-კომერციული ფირმა „ენისელი“ გადაიქცა სააქციო საზოგადოებად და ძირეულად შეიცვალა ქარხნის საკუთრების ფორმა. ქარხნის ახალმა მესვეურებმა დახსნეს სწორი სტრატეგია და ძირითადი აქცენტი იქნა აღებული საკონიაკე სპირტების შექმნაზე, ჩამოსხმის სააქქროს გადაიარაღებასა და საკუთარი ხანელეულო ბაზის შექმნაზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ დღევანდელ პირობებში, როდესაც ასე მოზღვავდა უცხოური, თუ ადგილობრივი წარმოების ალკოჰოლური სასმელები, ერთადერთი პირობა ბაზარზე ღირსეული ადგილის დასაშვებობად არის სითხის მაღალი ხარისხი. ქართული კონიაკის მარკები ყოველთვის განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, რაც განპირობებული იყო ვაზის ჯიშებით და წარმოშობის ადგილით. ასე, მაგალითად: „ვარციხის“ კუპაჟში აუცილებლად ღებულობდნენ მონაწილეობას ბაღდადის მიკრორაიონის ყურძნის ჯიშებიდან: ციცქა-ცოლიკოურიდან მიღებული სპირტები, „გრემის“ კუპაჟში – გურჯაანის, ყვარლის, ხანხერის მიკროზონის სპირტები, „ენისელის“ კუპაჟში – ყვარლის, ენისელის, დიღმის ზონის სპირტები და სხვა. ბოლო წლებში, საკონიაკე სპირტის წარმოების შეფერხებასთან დაკავშირებით აღნიშნული წესის დაცვა შეტად გაძნელდა. სპირტის არსებული მარაგი აღარ იძლევა საშუალებას დაცული იქნას ძველი წესი და ძირითადი აქცენტი გადატანილია სპირტის ასაკსა, ხარისხზე და კონდიციებზე, რამაც არ შეიძლება გარკვეულწილად უარყოფითი როლი არ ითამაშოს პროდუქციის ერთგვაროვნების შენარჩუნებაზე წლიდან წლამდე. ჩვენი ღრმა რწმენით, ხანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, აუცილებლად უნდა იქნეს მკაცრად დაცული აღნიშნული წესი, რისთვისაც საჭიროა, რომ კონიაკის ქარხანამ, ამჟამად უკვე სააქციო საზოგადოებამ, დაამყაროს პირდაპირი საქმიანი კავშირი (ნებისმიერი ფორმით) რეგიონებში სპირტის მწარმოებელ ქარხნებთან, რომლებიც მოაწვდიან სპირტს მხოლოდ კონიაკის ქარხანას.

ამჟამად კონიაკის ქარხანაში არსებული ახალგაზრდა სპირტების მარაგი სულ 41800,0 დალ ა/ა-ს წარმოადგენს, აქედან 35 500 დალ ტკეჩზე ძველდება. აქედან გამომდინარე, ორდინალური კონიაკის დამზადების პერსპექტივა არც თუ სახარბიელოა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ასაკის სპირტები მთლიანად თუ იქნა გაზარჯული, მაშინ სპირტების მარაგში გაგვიწინდება ე. წ. ფანჯარა, რაც მომავალში სამარკო კონიაკის დამზადებასაც შეაფერხებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ უნიკალური სპირტების მარაგის შესახებ, რაც მხოლოდ თბილისის კონიაკის ქარხანას გააჩნია. აქ ინახება 1893, 1905, 1915, 1918, 1925 წლებში გამოზღვილი სპირტები, რაც ჩვენი ეროვნული საგანძურია.

სააქციო საზოგადოება „ენისელის“ მესვეურთა და მთელი კოლექტივის თავდადებული შრომით, სწორად წარმართული ეკონომიკური პოლიტიკით, ყურძნის მწარმოებელ მევენახეებთან და ყურძნის პირველადი გადაამუშავების ქარხნებთან სწორი ურთიერთდამოკიდებულებით ქართული კონიაკის წარმოებას მომავალი აღმასვლა ელის. დაღმართს აუცილებლად მოსდევს აღმართი.





Les événements qui se sont déroulés ces dernières années en Géorgie, ont créé pas mal de problèmes dans l'industrie du brandy. Ont été changées les formes de coopération entre les vigneron, usines de vin et les usines de brandy, entravant ainsi la production du brandy. L'achat des alcools par l'usine de brandy a baissé de 95% en 1994 par rapport à celui de 1988. Parallèlement au passage à l'économie du libre marché, une frelagerie commence à se faire voir provoquant d'ailleurs une chute du prestige du brandy géorgien. Le produit de l'usine est quasi chassé du marché traditionnel.

Vu cette situation, on vient de commencer à en trouver des solutions de toutes parts: à la base de l'usine de brandy de Tbilissi, on vient de créer une société par actions, dont les possesseurs trouvent petit à petit les formes de coopération avec les usines de vin et les vigneron. On a entamé la rénovation de l'atelier d'embouteillage tout en préparant la base pour la réception par elle-même de la matière-première, ceci dans le but d'obtenir un produit stable de haute qualité. Il existe toutes les conditions pour la conservation de vieux et précieux alcools du brandy datés de 1893, 1905, 1918, 1925 etc. On est en train de procéder à la rénovation des fûts de chêne et des bouteilles.

**DAVID ABZIANIDZE**

Ingenieur en chef en technologie de la société per actions „ENISSELI“.

Известные явления последних лет в Грузии создали не мало проблем в производстве бренди. Изменились формы сотрудничества между виноградарями, первичными винзаводами и Тбилисским заводом, что отрицательно сказалось на производстве бренди. Поступление спиртов на Тбилисский завод в 1994 году снизилось на 95% по сравнению с 1988 годом. С переходом на рыночную экономику стала процветать фальсификация продукции, что сильно снизило авторитет грузинского бренди и начало вытеснять заводскую продукцию из традиционного рынка сбыта.

В связи с возникшей ситуацией началась интенсивная работа по нескольким направлениям: на базе Тбилисского завода создано Акционерное Общество, владельцы которого находят формы сотрудничества с первичными винзаводами и с виноградарями. Началось преобразование разливочного цеха, ведутся работы для создания собственной сырьевой базы, что так необходимо для создания однородной высококачественной продукции. Созданы все условия для хранения уникальных, старейших спиртов выкурки 1893, 1905, 1918, 1925 и т. д. годов. Ведутся работы для обновления дубовых бочек и бутов.

**Давид АБЗИАНИДЗЕ,**

Главный технолог Акционерного общества — «Энисели», кандидат технических наук.



„საიუბილეო-50“ დამზადდა 50 წელიწადის განმავლობაში. წელს საშუალოდ 50 წლიანი სპირტები-საგან. განუმეორებელი არომატისა და ბუკეტის სასმელი დაჭილღოებულა 4 ოქროს მედლით საერთაშორისო დეგუსტაციებზე. სპირტი — 43%, შაქარი — 0.7%.

„SAIUBILEO-50“. Fabriqué en 1967 à partir des alcools de 50 ans en moyenne. Cette boisson à l'arôme et bouquet incomparable compte 4 médailles d'or remportées aux dégustations internationales. Alcool — 43%, sucre — 0.7%.

«САИУБИЛЕО-50» был изготовлен в 1967 году из спиртов 50-летней выдержки. Этот напиток с несравненным ароматом и букетом был награжден 4 золотыми медалями на международных дегустациях. Спирт — 43%, сахар — 0,7%.



ი ა მ რ ე ა მ



ა მ რ ე ა მ

გიორგი ბოლქვაძე დაიბადა საქართველოში 1835 წელს. იგი გურიის აზნაურთა შთამომავალია. 1858 წლიდან სწავლობდა ათენის (საბერძნეთი) საჰინათ-მოქმედო აკადემიაში, შემდეგ კი სტამბულში (თურქეთი) დაეუფლა „არაყის ზღეს, წმენდის, გასუფთავების, შეწავების“ საიდუმლოს. გიორგი ბოლქვაძე იყო მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება, ფლობდა რამდენიმე უცხო ენას.

გიორგი ბოლქვაძე განსწავლის წლები შემდეგ ბრუნდება საქართველოში და ხელს მკიდებს მაგარი სასმელების წარმოებას. 1865 წელს ქუთაისში აარსებს

არყის ქარხანას, რომელიც სხვადასხვა ტიპის მაგარ სასმელს უშვებს. გ. ბოლქვაძის ქარხანა იმხანად ითვლებოდა „აზი-ერ-იშერ კავკასიაში ერთადერთ მაღალაღ-ჭურვილ სამრეწველო ქარხანად“.

1870 წლით დათარიღებული, ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი ხექსპორტო-სარეკლამო ფურცელი გვამცნობს: „ბოლქვაძის და მისი კომპანიონის ქარხანა, რომელიც ქუთაისში იმყოფება, გასასყიდად უშვებს კონიაკს, რომს, ლიქიორსა და აბრენტს“.

გიორგი ბოლქვაძის ქარხნის მრავალ-ოთხვარი კონიაკის, სამი რთული ლიქი-ფეროვანი ასორტიმენტიდან ჯერჯერობით

დადგენილია ცხრა სახეობის სპირტის, ოთხგვარი კონიაკის, სამი რთული ლიქიორის, რვა სხვადასხვაგვარი ლიქიორის, ორი სახის რომის, რთული სამეფო არყის დასახელება. უცნობია სახელები ისეთი ნაწარმებისაც, რომელთაც 26 მედალი აქვთ მიღებული.

გიორგი ბოლქვაძეს შემუშავებული ჰქონდა კონიაკის დამზადების ორგვარი ტექნოლოგია: „ნატურალური“ და „ზელოვნური“. „ნატურალურის“ წარმოება დაიწყო 1865 წელს, ზელოვნურისა კი — 1878 წელს. ნატურალურმა კონიაკმა 25 ჩილდო მიიღო, ზელოვნურმა კი—9.

ქართული კონიაკის პირველ და დიდ გამარჯვებულ ითვლება გიორგი ბოლქვაძის

„კავკასიის ნატურალური კონიაკის“ მიერ 1878 წელს პარიზს მსოფლიო გამოფენაზე მოპოვებული ოქროს მედალი.

მსოფლიო და საერთაშორისო გამოფენებზე გიორგი ბოლქვაძის სახმელებმა 1865—1900 წლებში მოიპოვა 100-ზე მეტი ჩილდო. აქედან 76 მედალია, მათ შორის 49—ოქროსა და ვერცხლისა.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის შექმნისათვის გიორგი ბოლქვაძეს პირადად მიღებული აქვს 17 სხვადასხვა ქვეყნის ჩილდო, მათ შორის ორი სახის „Merite agricole“, — „ვანის რესტავრაციისათვის“, ორდენი-ნიშნები პარიზის ნაციონალური აკადემიისა და ბრიუსელის მსოფლიო მეცნიერებისა და ინდუსტრიული ზელოვნების აკადემიისა. 1890 წელს გასწე-




თი „ივერია“ იტყობინებოდა: „ბ-ანი გ. ბოლქვაძე წევრად აურჩევიათ საფრანგეთის სამიწაშოქმედლო აკადემიას და ამ წევრობის შესაფერისი დიპლომიც მიუღია პარიზიდან“.

გიორგი ბოლქვაძე გახლდათ ბრიუსელის „მუდმივი გამოფენის“ მონაწილე, დაჯილდოებული იყო სრულიად ევროპის სამეცნიერო საზოგადოების მედლით.

1876—1890 წლებში გიორგი ბოლქვაძის კონიაკებმა მონაწილეობა მიიღეს 30-ზე მეტ მსოფლიო, საერთაშორისო და სპეციალიზებულ სამრეწველო გამოფენა-

ში (აშშ, საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია, აფრიკა, რუსეთი და სხვ.) კონიაკებმა იღო მკ ჯილდო, მათ შორის — „კავკასიურმა ნატურალურმა კონიაკმა“ 5 ორდენი და 18 მედალი და ერთი „უმალღესი ჯილდო“, „ძველმა კონიაკმა № 1“ — უმალღესი ჯილდო, „ბელგოვურმა კონიაკმა“ კი — ერთი „უმალღესი ჯილდო“ და 8 მედალი.


გიორგი ბოლქვაძე გარდაიცვალა 1921 წელს. სამწუხაროდ, ისტორიული ბედუღლმართობის გამო უფრო მეტი მასალა ამ დიდი მამულიშვილის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ არ შემოგვრჩა.



КАВКАЗСКІЙ НАТУРАЛЬНЫЙ

**Коньяк**

БОЛКВАДЗЕ и К<sup>о</sup> ВЪ КУТАНСЬ.



o

**BOLKVAZDZÉ GUIORGUI** fils de Kaikhosro (1835-1921) est l'un des pionniers de la production du cognac (brandy) en Géorgie. Il fut admis d'abord, en 1853, à l'Académie d'Athènes, faculté de l'agriculture pour se perfectionner plus tard à Istanbul dans le domaine de la production de l'alcool.

